ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი

შეფასების თარიღები: 8 და 9 თებერვალი 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 6 მარტი 2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 208148930 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ. №11ა |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №10 |
| საფოსტო ინდექსი | 0182 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://ltdlampari.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | infolamparitamari@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +995 032 2-45-57-02<br>+995 032 2-45-57-08 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | **თამარ მანძულაშვილი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599-50-17-21 |
| ელ-ფოსტა | lamparitamari@yahoo.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 17.01.2023წ. ბრძანება N39440 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში ვიზიტის შესახებ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 8 და 9 თებერვალი 2023წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნოდარ ანგურიძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეონა ყაჭეიშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებზონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყუჩუკიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.6.* | |
| | *2.7* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.4.* | . |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.4.* | *1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შენობის შესასვლელზე მოწყობილი პანდუსი ისე მოაწყოს, რომ დახრა შეამციროს;*<br>*2. დაასრულოს ადაპტირებული სველი წერტილის მოწესრიგება* |
| | *2.7.* | |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1* | *დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი სკოლის ექიმის აყვანის მიზნით და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან.* |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის კეთილგანწყობილი კლიმატი ბავშვების, მასწავლებლების და ზოგადად სასკოლო თემის მიმართ. რაც გამოწვეულია სკოლის მართვისთვის დამახასიათებელი და ჩამოყალიბებული მონაწილეობითი კულტურით. კერძოდ, დაწესებულებაში ტრადიციად იქცა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ჩართულობა. მაგალითად, სკოლის პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა ხდება არამარტო უშუალოდ განხორციელების პროცესში, არამედ დაგეგმვის ეტაპზეც. რაც შემდგომში დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების მოტივაციაზე, სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების სტატისტიკაზე.<br>შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარის გუნდს აქვს დიდი მოტივაცია და სურვილი სიახლეების, იდეების დანერგვის, განვითარების, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებაშიც აისახა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით, ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლა-ლიცეუმი ლამპარის მისიაა აღზარდოს მოსწავლეები პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად, მისცეს მათ ზოგადი განათლება მდგრადი განვითარებისთვის, ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტერესების გამოვლენას, გარემოზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური, ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირებას, სამეწარმეო უნარების, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას თავისუფალი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების წახალისებით.<br>მისია მიიღწევა ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებით, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვაზე. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | **სტანდარტი 2.1** ა) სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი.<br>წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სკოლას აქვს შედგენილი შენობის აზომვითი ნახაზი;<br><br>**სტანდარტი 2.3** სკოლას მეცა რეომენდაცია წიგნადი ფონდის განახლებასთან და ელექტრონული კატალოგის შექმნასთან დაკავშირებით.<br>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, წიგნადი ფონდი განახლებულია, ელექტრონულ კატალოგი შექმნილია ნაწილობრივ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **სტანდარტი 2.5** სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხშირად განხორციელდეს ვებ. გვერდის განახლეხლება და ვებ . გვერდზე განთავსდეს სკოლის სამოქმედო გეგმა და მიმდინარე წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>გათვალისწინებულია<br><br>**სტანდარტი 2.6** სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სამედიცინო უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა ინსტრუქცია. გათვალისწინებულია<br><br>**სტანდარტი 3.3** სკოლას მიეცა რეკომენდაცია სისრულეში მოიყვანოს დასაქმებულთა პირადი საქმეები.<br>გათვალისწინებულია<br>**სტანდარტი 3.4** სკოლის ხელშეკრულებების დანომვრა;<br>გათვალისწინებულია |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>220 | ექსპერტი ეთანხმება<br>☐ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☒ | საკლასო ოთახების არსებული განაწილების პირობებში, როცა რამოდენიმე (3!) კლასში, შესაძლებელია მაქსიმუმ 10-12 მერხის განთავსება, ხოლო დანარჩენში საშუალოდ18 მერხის, სკოლის წამომადგენლებთან შეთანხმებით მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 190. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | *შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი ფუნქციონირებს 1995 წლიდან.*<br>*სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში.*<br>*დაწესებულების* ***2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან :***<br><br>1. სკოლის მისია და მისი მიღწევის სტრატეგია<br>2. სწავლა-სწავლების კონცეპტუალური საკითხები<br>3. სასწავლო პროცესის ორგანიზება<br>4. სასკოლო საათობრივი ბადე (დანართი N1)<br>5. სკოლის საერთო კულტურა<br>6. კლასის დამრიგებელი<br>7. საგნობრივი კათედრები<br>8. საგანმანათლებლო რესურსები<br>9. არჩეული გრიფმიჭებული სახელმძღვანელოები (დანართი N2) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 10. ინკლუზიური განათლება (ისგ-ის ჩარჩო პროექტი - დანართი N3)<br>11. მოსწავლის შეფასება<br>12. კლასისა და საფეხურის დაძლევა<br>13. გამოცდის ტიპები<br>14. მოსწავლის შეფასების სისტემა<br>15. მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების წესი<br>16. შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა და ფორმები (დანართი N4)<br>17. გაცდენები<br>18. შინ სწავლება<br>19. სავალდებულო საგნები<br>20. არჩევითი და ფაკულტატური საგნები<br>21. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა (დანართი N5)<br>22. საგანმანათლებლო ღონისძიებები<br><br>*სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას, განსაზღვრავს თითოეული კლასისთვის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგსა და ესგ-თი გათლისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურეობას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპებს და სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებსა და აქტივობებს.*<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივ ბადის მესამე მოდელს, რომელიც დაწესებულებას წარდგენილი და შეთანხმებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (07/09. 2022 წელი, MES 8 22 0001020475). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | *კლასში მოსაწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 18 მოსწავლით;*<br>***სასწავლო წლის კალენდარი***<br>*სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღია:* 2022 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დამთავრდების - 2023 წლის: ა) I და XII კლასის მოსწავლეებისთვის 19 მაისს, ბ) ხოლო II-XI კლასის მოსწავლეებისათვის 16 ივნისს.<br>I და XII კლასელებისათვის სასწავლო დღეების რაოდენობაა არანაკლებ - 32 კვირა, ხოლო II და XI კლასელებისათვის - არანაკლებ 35 კვირა.<br>***დღის რეჟიმი***<br>გაკვეთილებს შორის დასვენება :<br>I გაკვეთილის შემდეგ 10 წუთი,<br>II და III გაკვეთილების შემდეგ 5-5 წუთი,<br>IV გაკვეთილის შემდეგ 20 წუთი,<br>V, VI, VII გაკვეთილების შემდეგ 5-5 წუთი.<br>პირველ კლასში:<br>ა) გაკვეთილები იწყება 9: 00 სთ-ზე;<br>ბ) გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;<br>გ) მესამე გაკვეთილის შემდეგ შესვენებაა 15 წუთი, მეოთხე გაკვეთილის შემდეგ შესვენებაა 20 წუთი, ხოლო დანარჩენ გაკვეთილებს შორის შესვენება 10-10 წუთია;<br>***სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:***<br>*შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი.*<br><br>***მნიშვნელოვანია, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს საკოლო სასწავლო გეგმაში ბავშვების ფიზიოლოგიური საჭიროებები. მაგალითად ,*** *ეს კარგად ჩანს* პირველ კლასისთვის განსაზღვრულ რეჟიმის გაცნობისას:<br>"ა) გაკვეთილები იწყება 9: 00 სთ-ზე;<br>ბ) გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გ) მესამე გაკვეთილის შემდეგ შესვენებაა 15 წუთი, მეოთხე გაკვეთილის შემდეგ შესვენებაა 20 წუთი, ხოლო დანარჩენ გაკვეთილებს შორის შესვენება 10-10 წუთია;<br>დ) საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იქნება განმავითარებელი, დიდაქტიკური თამაშები;<br>ე) გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ, დრო დაეთმობა ფიზიკურ აქტივობებს (3-5 წუთი);<br>ვ) გაკვეთილი წარიმართება აქტიური და პასიური აქტივობების მონაცვლეობით (მაგ., საკითხავ დავალებას მოჰყვება ხატვა ან როლური თამაში);<br>ზ) გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გააკეთებენ სიტყვიერ რეფლექსიას.<br>თ) საკლასო ფიზიკური გარემო დაიყოფა რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან მინიმუმ ერთი დასვენებასა და თავისუფალ აქტივობას დაეთმობა.”<br>***საგნობრივი კათედრები სკოლაში:***<br>*სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი საგნობრივი კათედრა:*<br>1 - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;<br>2 - მათემატიკის, ტექნოლოგიების, ჭადრაკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ისტ-ის, ქიმია, ფიზიკის და ჭადრაკის მასწავლებლები;<br>3 - საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და უცხო ენათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის, სამოქალაქო განათლებისა და უცხოური ენების (ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (გერმანული, რუსული) მასწავლებლები;<br>4 - სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყურჭიშვ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სავალდებულო საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სკოლა - ლიცეუმ ლამპარში ისწავლება I-II-III-IV-V-VI-VII-VIII-IX კლასებში; **იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის დროისათვის დასრულებული ჰქონდათ დაწყებითი საფეხური (სწავლობენ საბაზო ან საშუალო საფეხურზე), სკოლა უზრუნველყოფს ისტ-ის სწავლებას საბაზო-საშუალო საფეხურის აღნიშნულ კლასებში, რომ სკოლის დასრულებისთვის ყველას დაძლეული ჰქონდეთ ისტ-ის პირველი დონე მაინც.**<br>**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება:**<br>სკოლა-ლიცეუმ ლამპარში ფუნქციონირებს 2 კლუბი მოსწავლეებისათვის:<br>**პირველი კლუბი : დებატების კლუბი,** სადაც საკუთარი სურვილით შეუძლია ჩაერთონ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები;<br>**მეორე კლუბი - რა? სად? როდის?** განკუთვნილია სამი ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეებისათვის: • III-IV კლასი • V-VII კლასი • VIII-XII კლასი კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი.<br><br>***ეს საგანმანათლებლო დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებას უფასო წრის სახით სთავაზობს :***<br>✓ **ტანვარჯიშის წრეს ;**<br><br>***ასევე, სკოლა-ლიცეუმი სთავაზობს მოსწავლეებს გახანგრძლივებულ სწავლებას.*** სამიზნე ჯგუფი - I-VI კლასის მოსწავლეები, სურვილის გათვალისწინებით. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან გაკვეთილების მომზადებით- 16 საათამდე.<br>მოსწავლეებს ფაკულტატური სახით უტარდებათ სახალისო მათემატიკა მე-5 და მე-6 კლასებში 2-2 საათი და საყმაწვილო ლიტერატურა 1-დან -მე-4 კლასის ჩათვლით თითო საათი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დაწესებულება X კლასში არჩევით საგნად სთავაზობს ხელოვნების ისტორიას; XI კლასში „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანდაცვას“; XII კლასში კომპიუტერულ მეცნიერებებს.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და ხუთი დანართი;<br>2. ფოკუსჯგუფები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან.<br>3. 07/09 2022 წლის № MES 8 22 0001020475 წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის შეთანხმების შესახებ;<br>4. კათედრების 2022 წლის N1 სხდომის ოქმები;<br>5. დამრიგებლების პორტფოლიოები; · |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მიმდინარეობს სწავლება სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო). 2022-2023 სასწავლო წელს შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში სულ ფუნქციონირებს 12 კლასი.<br>2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე თავად განსაზღვრულია - სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო პროგრამა გაწერილია სწავლების საფეხურების, ცალკეული კლასების, თემების, მისაღწევი შედეგების მიხედვით. დაზუსტებულია ჩასატარებელი საათების რაოდენობა.<br>სკოლაში თორმეტივე კლასს ჰყავს დამრიგებელი. ისინი აწარმოებენ დამრიგებლის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის მიზნები, მოვალეობები, მუშაობის პრინციპები და საკლასო ღონისძიებები. ყველა დაგეგმილი აქტივობა |

| | |
|---|---|
| | გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.<br>შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში  ყველა/ოთხივე  კათედრას აქვს პორტფოლიო  ელექტრონული საქაღალდის სახით. კათედრის საქაღალდეებში წარმოდგენილია  კათედრის სამოქმედო გეგმები, კათედრის ოქმები და საგნების სასწავლო პროგრამები საფეხურების მიხედვით, კომპლექსური დავალებები, მატრიცები, დავალებათა მენიუები, უკუკავშირები, ურთიერთდასწრების განრიგები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალების შედეგად მოსწავლის მიერ შედგენილი პროდუქტების ნიმუშები. აღნიშნულ დაწესებულებაში კათედრები აქტიურად მუშაობენ: ახდენენ საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირებას, ხდება  კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;  ხშირია კათედრებს შორის ურთიერდასწრება  და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა .<br>საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პოსტერები, ნახატები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტებში.<br>მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს, რასაც კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს.<br>ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლას  მიმდინარე სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული საკითხებიდან ორი პრიორიტეტული თემა: “კულტურული მემკვიდრეობა” და “ჯანსაღი ცხოვრება” აქვს არჩეული. ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა წაროადგინეს ორიგინალური და სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები, ისაუბრეს უკვე ჩატარებულ და დაგეგმილ აქტივობებზე. სკოლის ვებ. გვერდიც იძლევა  გარკვეულ ინფორმაციას სკოლის მიერ ჩატარებულ პროექტებზე და ღონისძიებებზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყუფუნიშვ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. სკოლის ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;<br>3. სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფები;<br>4. კათედრების პორტფოლიოები.<br>5. ვიზუალური დათვალიერება ფიზიკური გარემოსი;<br>6. კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოები;<br>7. სკოლის ვებ. გვერდი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-ლიცეუმის მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეთა მზაობიდან გამომდინარე. სკოლაში კლასები ძირითადად მცირე ზომისაა (10-15 მოსწავლე) და ეს გარემოება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ინდივიდუალურად იმუშაონ თითოეულ მოსწავლესთან. მოსწავლეები, ინტერვიუს პროცესში, აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებლები მათ სთავაზობენ ორიგინალურ და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ახლავს ინდივიდუალური გეგმის ნიმუში, სადაც განსაზღვრულია: სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პასუხისმგებელი პირების და ამ გეგმის განხორციელების დანერგვის მონიტორინგი, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტები, სსსმ მოსწავლის გაკვეთილებზე დასწრება და გაცდენების აღრიცხვა.<br>სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. უჯმაჯურიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფოკუსჯგუფებში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა: მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსს, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვას და განვითარებას.<br>სკოლა-ლიცეუმ ლამპარის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და სპორტის დარბაზში იყო განთავსებული მრავალფეროვანი და სხვადასხვა კატეგორიის, დანიშნულების ინვენტარი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში: მულიაჟები, ფერადი პლაკატები, მაკეტები, სქემები.. სპორტულ დარბაზში: კეგლები, ბურთები, სვედური კედელი, საბავშვო ფარი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სენსორული სათამაშოები.. აღნიშნული ინვენტარის დახმარებით ნებისმიერ მოსწავლეს მიეცემა განვითარებისა და სწავლა-სწავლების მოტივაცია.<br>მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სკოლის დირექცია და მასწავლებლები ცდილობენ კარგად გაიცნონ მოსწავლეები, დაუხალოვდნენ მათ, განუმარტონ საგნის სწავლის საჭიროება და კონკრეტულ შემთხვევებში გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. დანართი №3;<br>3. გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი.<br>4. ვიზუალური დათვალიერება;<br>5. ინტერვიუ მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყუჩ[illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური შეფასება არის სამკომპონენტიანი: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება.<br>დაწესებულება შეფასების მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად დაწესებულება იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტიპებს. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორც შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, ასევე გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი.<br>პედაგოგები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. სკოლაში საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა მრავალფეროვანი ტიპი გამოიყენება: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, კვლევა, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში ხშირად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის ჩატარება, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატის, მაკეტის მომზადება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყ... (signature)

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ იცნობენ შეფასების რუბრიკებს. სკოლა ლიცეუმის ყველა კლასის კედელზე გამოფენილი იყო შეფასების რუბრიკის ცხრილები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. *2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*<br>2. *მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან, მასწავლებლებთან გასაუბრება;*<br>3. *მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;*<br>4. *სკოლის ელექტრონული ჟურნალი.* |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-ლიცეუმ ლამპარს ცალკე არა აქვს შემუშავებული მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მაგრამ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მათი ქცევის, სკოლაში სხვადასხვა აქტივობების, სკოლის სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირებულობის რეგულაცია გაწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტაციაში: სკოლის შინაგანაწესში, სკოლის დებულებასა და სკოლასა და მოსწავლის მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლა-ლიცეუმ ლამპარის აღნიშნულ დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრულია: · მოსწავლის აკადემიური მოსწრების, მათი ქცევის შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი და საშუალებები (ტელეფონით, წერილობით, ელექტრონული და სხვა საშუალებებით, ელექტრონული ჟურნალით). · მშობელთა კრებების ჩატარებისა და მშობელთა სკოლაში გამოცხადების წესი.<br>**სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით** – edupage.org, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მშობლისთვის და საშუალებას აძლევს მათ ჩართულნი იყვნენ სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყ[illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მონაწილეობდნენ სასკოლო გამოკითხვებში და მიიღონ სისტემატური ინფორმაცია სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ.<br>როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მშობლებთან და დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მშობლებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.<br>მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდებისას სკოლა ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდების ეთიკურ ნორმებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. სკოლის დებულება;<br>4. ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის;<br>5. edupage |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებისთვის სასწავლო პროცესის ხარისხზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამის მტკიცებულებაა დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტი და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.<br>სკოლა-ლიცეუმ ლამპარის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობები. ასევე აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შიდა სასკოლო მონიტორინგის წესი“, რომლის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - ციკლზე. ეს ციკლი ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, ადამიანური რესურსების შეფასებას საქართველოს კანონმდებლობასა და დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესთან მიმართებაში, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მატერიალურ-ტექნიკური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ყუჩუ...

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
